Как видно из таблицы 1, обработка ПМП семян шелковицы вышеуказанных сортов вызывает почти во всех случаях стимулирующий эффект по энергии прорастания. Исключение составляет только сорт Хар-тут, в котором феномен стимулирующего действия отсутствует как по энергии прорастания, так и по всхожести семян, что раз доказывает индивидуальную специфику сортов по восприимчивости внешних физических факторов. При обработке семян

тидоакустическими колебаниями (ГАК) и высококачественным полем (ТВЧ) у всех взятых нами сортов наблюдается стимулирующий эффект по энергии прорастания.

Рассмотрев взаимоотношения между физическими факторами и реакцией семян различных сортов на внешние раздражительные условия (ПМП, ГАК, ТВЧ) наблюдается природная специфика данных электрофизических факторов и ответная реакция семян, зависящих от сортовых признаков. Для доказательства этой концепции




Рис. 1.

Зависимость между Энергией прорастания и всхожестью семян шелковицы обработанных постоянным магнитным полем (ПМП)




Рис. 2.

Зависимость между энергией прорастания и всхожестью семян шелковицы обработанных токами высоких частот (ТВЧ)

ами при проведении опытов специально взяты семена разного происхождения с разным набором хромосом: «Грузия» естественный сорт  $2N=28$ ; «Лу» естественный итальянский сорт  $2N=28$ ; «Лименчина» триплоид  $2N+N$ ; «Хар-тут» 22 — полиплоидный естественный сорт и «Шулаверская популяция» — семена свободного опыления.

Для выявления общей биологической закономерности о влиянии вышеуказанных электрофизических факторов для рода «Morus», нами приводятся кривые показывающие зависимость между




Рис. 3

Зависимость между энергией прорастания и всхожестью семян шелковицы обработанных гидроакустическими колебаниями (ГАК).

экспозицией каждого фактора в отдельности и реакцией вышеуказанных семян в совокупности с выраженной энергией прорастания и всхожестью (рис. 1, 2, 3.).

Как видно из кривых (рис. 1, 2, 3.) все вышеуказанные физические факторы являются лишь стимуляторами энергии прорастания семян.

Рассматривая стимулирующие зоны влияния всех вышеизложенных электрофизических факторов в совокупности, явствует доминирование зоны стимуляции вызванной обработкой ГАК — фактором, где диапазон стимулирующего действия более широкий — 1-6 часов (рис. 3). При рассмотрении же других факторов (рис. 1, 2, 3.) наибольший эффект отмечен при обработке семян шелковицы ТВЧ-фактором.

Исходя из полученных данных можно сделать следующие выводы:

1. Показателем характеризующим стимулирующее действие электрофизических факторов является энергия прорастания семян, а не их суммарная всхожесть.

2. Постоянное магнитное поле, электрическое поле высокой частоты, гидроакустические колебания являются стимуляторами для энергии прорастания семян шелковицы, которые зависят от специфики сортовых признаков.

3. Наибольшим эффектом действия на энергию прорастания семян, обладает обработка акустическими колебаниями (ГАК) при интенсивности 1500 вт/м<sup>2</sup> в течение 2-6 часов.



შრომის წითელი დროშის ორდენსანი

საქართველოს სასოცელო-სამურნეო ინსტიტუტის გროვები, ტ. 116, 1980

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ  
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, Т. 116, 1980

УДК 638 . 26

ა. ჩხილაძე, გ. მაისურაძე,  
თ. ლეგაციის

ზაფხულში დაზამთრებულ გრენაზე გარიბეშავისა და თაროვაზოვაციის  
ერთგროვლად გოვარდების საკითხების

წლის განმავლობაში აბრეშუმის პარკის მეტი რაოდენობით მიღებისა-  
ფის ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებად ითვლება აბრეშუმის ჭიის განმეო-  
რებითი და მრავალჯერადი გამოკვების ჩატარება. უცხოეთის მოწინავე  
ჟაბრეშუმეობის ქვეყნებში ეს საკითხი დიდი ხანის პრაქტიკულადაა გადა-  
კრილი, სადაც წლის განმავლობაში პარკის ოთხ, ხუთ და მეტ მოსავალსაც  
იმ ღებულობენ. საბჭოთა კავშირში განმეორებითი გამოკვების ხელდროითი  
წონა ჯერჯერობით დაბალია, ხოლო საქართველოს სსრ-ში იგი მთლიანად  
ურდალულია თუთის წვრილფოთოლა სიხუჭუჭის გჩენის გამო, რაც დრო-  
ებითი ღონისძიებაა და მეაბრეშუმეობის სამრეწველო საფუძველზე გა-  
დაყანასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა იქნეს აღდგენილი და  
პირველ რიგში თვით დაავადებულ ზონაში, რადგან შემოდგომით თუთის  
ტოტის წვრილფოთოლა სიხუჭუჭის დაავადების გადამტანი მწერის მო-  
ნამთრე თაობის კვერცხების მექანიკურად განადგურებას.

განმეორებითი და მრავალჯერადი გამოკვების წარმატებით ჩატარე-  
ბისათვის, სხვა საკითხებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს გრენის დამ-  
ზღვების ისეთი წესების დამუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს გრენით  
ზაფხულ-შემოდგომის სეზონში აბრეშუმის ჭიის გამოკვების ყველა სასურ-  
ვლ ვადას.

ზაფხულ-შემოდგომის სეზონში აბრეშუმის ჭიის გამოკვების ჩატარე-  
ბისათვის ძირითადად იყენებენ გაზაფხულის გამოკვებიდან დამზადებულ  
სალ გრენას, რომელსაც ამუშავებენ მარილმჟავით იმავე წელს ჭიის მი-  
უბის მიზნით. მარილმჟავით დამუშავებული ახალგაზრდა გრენიდან 24—  
25° ტემპერატურაზე ინკუბაციის პირობებში ჭიი გამოდის მე-10—11  
დღეს. ამიტომ ადრე ზაფხულის სეზონისათვის იყენებენ გაზაფხულის, ხო-


ლო შემოდგომის სეზონისათვის—ზაფხულის საჭიშე გამოკვების შედეგად მიღებულ გრენას. გვიან ზაფხულის ან შემოდგომის სეზონში გამოკვებულის გამოკვებიდან დამზადებული გრენის გამოყენების შემთხვევაში, მისცოდა ვენ გრენის შენახვას დაბალ ტემპერატურაზე (ზაფხულის დაზამთრებას) გრენაში ჩანასახის განვითარების შესანელებლად. ამ მიზნით ძირითადად გრენის დამზადების ორი წესია შემოლებული: ევროპული და აზიური. ევროპული წესი გულისხმობს ახალგაზრდა გრენის ჯერ მარილმჟავათი დამუშავებას და შემდევ დაზამთრებას, აზიური კი პირიქით, ჯერ დაზამთრებასა და შემდევ მარილმჟავათი დამუშავებას. გრენის დამზადების ორივე წესის შესახებ მრავალი შრომაა გამოკვეყნებული.

ამ მიმართულებით ჩვენ მიერ ჩატარებული ცდებით დადგენილ იქნა, რომ ევროპული წესით გრენის დამზადება და მისი გამოყენება წარმოებაში შეიძლება, მაგრამ მაცივარში გრენის შენახვის ხანგრძლივობა 25 დღეზე უფრო მეტ ხანს უარყოფით გავლენას ახდენს გამოცოცხლების უნარიანობაზე. აზიური წესი კი იძლევა საშუალებას მეტ ხანს იქნეს შენახული გრენი მაცივარში ჩანასახის დაუზიანებლად. ამიტომ ეს წესი უფრო პერსპექტიული და მისაღებია.

როგორც პირველი, ისე მეორე წესის გამოყენების შემთხვევაში გრენი მზაღდება ცელულარული მეთოდით, საჭიროა გრენის დამუშავებამდე ან მაცივარში შეტანამდე პეპლების იზოლირებულად მიკროსკოპული ანალიზის ჩატარება, რაც წარმოების პირობებში ძალზე რთული საქმეა და მოითხოვს დიდი რაოდენობით მუშახელს. ეს კი, თავის მხრივ, ზრდის გრენის თვითღირებულებას. გარდა ამისა, ამ მეთოდით დიდი რაოდენობით გრენის დამზადების შემთხვევაში ერთი—ორი დღის განმავლობაში ვერ ესწრება ყველა პეპლის მიკროსკოპული ანალიზისა და სხვა პროცესების ნორმალურ პირობებში ჩატარება, რის გამოც გრენის ხარისხი საეჭვო ხდება სიჯანსაღის მხრივ.

უკანასკნელ ხანებში შემუშავებული იქნა გრენის დამზადების ორმული მეთოდი (ბ. ასტაუროვი, ვ. ლობეგანიძე და სხვა), რომელიც დამყარებულია თერმოაქტივაციაზე. იგი საშუალებას იძლევა გრენის დამზადების ცელულარული მეთოდი შეიცვალოს უფრო გააღვილებული და მარტივი მეთოდით, რაც უზრუნველყოფს პეპრინის დაავადებისაგან გრენის გაუსენიანებას. ეს მეთოდი 1961 წლიდან წარმატებით იქნა გამოყენებული საქართველოს სსრ საგრენაუო ქარხნებში განმეორებითი გამოკვებისათვის გრენის დამზადების დროს და 1967 წლიდე მისი საშუალებით დამზადებული იქნა 200 კოლოფამდე გრენი. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაფართოვლებოდა გრენის დამზადების მოცულობა, თუთის წვრილფოთოლა სოსუტუჭის დაავადების გაჩენის გამო განმეორებითი გამოკვება დროებით რომ არ აკრძალულიყო.

როგორც ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობა გვიჩვენებს, თერმოაქტივაციის, ე. ი. თბილი წყლის (46°) მოქმედება უკეთესია 36—48 სა-



ათის ხნოვანების გრენაზე, მაგრამ თერმოაქტივაცია არ აძლევს სტიმულს ჩანასახს ბოლომდე განვითარდეს და გრენიდან გამოვიდეს ჭია.

თერმოაქტივაციის ექსპოზიცია უკეთეს შედეგს იძლევა პერიოდისაგან გაუსენიანების შიზნით 25-დან 40 წუთამდე. ამასთან საჭიროა გრენი ჯერ უამუშავდეს მარილმჟავაში დადებიდან 24—36 საათის ასაკში და შემდეგ გაუკეთდეს თერმოაქტივაცია.

ჩვენ მიერ ჩატარებული ცდებით ზაფხულში დაზამთრების შემდეგ ახალგაზრდა 36 საათის ხნოვანების გრენაზე ჯერ მარილმჟავით მოქმედებამ და შემდეგ თერმოაქტივაციაში შეამცირა გრენის გამოცოცხლების უნარიანობა და რიგ შემთხვევაში დიდი რაოდენობით მახინჯი ჭიები იქნა მიღებული, ვიზრე აღნიშნული მეთოდით დამუშავების გარეშე.

ყოველივე ამის გამო, გადავწყვიტეთ მოვვენახა ზაფხულში დაზამთრებული ახალგაზრდა გრენის მარილმჟავით დამუშავების ისეთი დოზები, რომელიც არა ეტაპებად, არამედ ერთდროული მოქმედებით შეასრულებდა როგორც მარილმჟავაში დამუშავების, ასევე თერმოაქტივაციის როლს.

აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით ცდები ჩავატარეთ დაუსენიანებელ მასალაზე, ანალოგიური ცდები, თითქმის ერთდროულად და ჩვენგან დამოუკიდებლად ჩატარებული იქნა დასენიანებულ მასალაზე, შეცნიერ მუშაკთა მიერ (ბ. ასტაუროვი, ე. ბაბურაშვილი, ვ. ლობევანიძე) ბ. ასტაუროვის საერთო ხელმძღვანელობით. ჩვენ კი მოვახდინეთ ახალგაზრდა გრენის ჯერ ზაფხულში დაზამთრება და მაცივრიდან გამოტანის შემდეგ ვაწარმოეთ მაღალი ტემპერატურისა და დაბალი კონცენტრაციის მქონე მარილმჟავაში მისი დამუშავება ერთჯერადი მეთოდით.

ზაფხულში დაზამთრებული გრენის ხელოვნური გამოცოცხლებისა და პებრინის დაავადებისაგან გაუსენიანების მიზნით გავითვალისწინეთ გაუსენიანებისათვის საჭირო ჩვეულებრივი თერმოაქტივაციის ნორმების (ტემპერატურა 46° და ექსპოზიცია 25—30 წუთი) შენარჩუნება გრენის დამუშავების დროს, რაღაც ეს პირობა ამ მეთოდის ავტორების მიხედვით, საჭმაოდ კარგ შედეგებს იძლევა, მაგრამ გრენის ხელოვნურად გამოცოცხლებისათვის კი საჭიროა მარილმჟავის აუცილებელი მოქმედება. რიგი მკვლევარების მიერ მითითებულია, რომ გრენის ხელოვნურად გამოცოცხლების უნარიანობა ძლიერ დიდ დამოკიდებულებაშია მარილმჟავის კონცენტრაციისა; ტემპერატურასა და ექსპოზიციასთან. მაგალითად, რაც უფრო დაბალია მარილმჟავის კონცენტრაცია, მით უფრო მაღალი უნდა იყო მისი ტემპერატურა და ექსპოზიცია და პირიქით. ცდისათვის ავილეთ 46° ტემპერატურისა და 1,01-დან 1,1 კუთრი წონის მქონე მარილმჟავა 4-დან 40 წუთამდე ექსპოზიციით.

პირველ წელს ცდისათვის აღებული იქნა კოლხიდა X ფუგეის პიბრი-დული გრენი. გრენის ხნოვანება მაცივარში შეტანამდე იყო 24—36—48—60 და 72 საათი. გრენის დამზადების ხანგრძლივობა 40-დან 100 დღის ჩათ-

ვლით, 10 დღის ინტერვალით, მარილმჟავას კუთრი წონა 1,01—ლან 1,07-მდე, ხოლო ექსპოზიცია 4-დან 32 წუთამდე. თითოეული ვარიანტის გრენი დავამუშავეთ სამ განმეორებად, თითოეულ განმეორებაში გრენი დანარე წყალში 30 წუთის განმავლობაში, რომლის გაშრობის შემდეგ ჩატარდა ინკუბაცია 24—25° ტემპერატურისა და 70—75% ტენიანობის პირობებში.

გამოირკვა, რომ 40 დღით დაზამთრებულ გრენაზე 1,01—1,02 ხელრითი წონის მქონე მარილმჟავას მოქმედება  $46^{\circ}$  ტემპერატურის პირობებში, ძლიერ დაბალ გამოცოცხლებას იძლევა 40-წუთიან ექსპოზიციით დამუშავების დროსაც კი (3,4—3,8%). ამიტომ მიღებულ შედეგებს აქ არ ვიძლევით. ამავე დროს 4-დან 28 წუთამდე ექსპოზიციის შემთხვევაში უფრო დაბალი გამოცოცხლების პროცენტი მივიღეთ, ვიდრე 28 წუთისა და მეტი ექსპოზიციის დროს (ცხრილი 1).

მაღალი ტემპერატურის ( $46^{\circ}$ ) პირობებში მარილმჟავით 36 საათის ხნოვანების გრენის დამუშავება უკეთესია, ვიდრე 24 საათის ხნოვანების გრენისა, თითქმის ყველა კუთრი წონისა და ექსპოზიციის დროსაც კი. მაგრამ არა მარტო 36, არამედ 48—60 და 72 საათის ხნოვანების გრენაც იძლევა გამოცოცხლების უკეთეს უნარიანობას 24 საათის ხნოვანების გრენითან შედარებით. გამოცოცხლების უნარიანობის მიხედვით მეორე აღგილზეა 48 საათის ხნოვანების გრენი. ამიტომ მარილმჟავასა და თერმოაქტივაციის ერთდროულად მოქმედებისათვის უკეთესია დამუშავდეს გრენი ერთდროულად 34 საათიდან 48 საათის ხნოვანების ჩათვლით.

მარილმჟავის კუთრი წონის მიხედვით შედარებით კარგი შედეგები მივიღეთ 1,05-დან 1,07 კუთრ წონამდე. 36 საათის ხნოვანების გრენისათვის უკეთეს დოზად შეიძლება ჩაითვალოს მარილმჟავის 1,06 კუთრი წონა 30 წუთის ექსპოზიციით (86%), ხოლო 48 საათის ხნოვანების გრენისათვის 1,07 კუთრი წონა 32 წუთის ექსპოზიციით (89%), ამავე დოზით შესაძლებელია დამუშავდეს 60 და 72 საათის ხნოვანების 40 დღით დაზამთრებული გრენი, რომლის დროსაც გამოცოცხლების უნარიანობა 80%-ზე ნაკლები არ არის. ამრიგად დაზამთრება ხელს უწყობს ყველა ასაკის გრენის გამოცოცხლების უნარიანობის გადიდებას ზემოთ აღნიშნული დოზებით დამუშავების შემთხვევაში.

ჩატარებული ცდებით გამოირკვა, რომ ასაკების მიხედვით უკეთესია ერთდროულად დამუშავდეს მარილმჟავითა და თერმოაქტივაციით 34—36 საათის ხნოვანების გრენი. ამიტომ მეორე წელს ცდა ჩავატარეთ წარმოშამი 34 საათის ხნოვანების იმერული X კახურისა და კახური X იმერულის პიბრიდულ გრენზე.

აღნიშნული პიბრიდების გრენი დამზადებული იქნა ერთი დღის ნადგბის გამოყოფით (შერეული ასაკის) ისე, როგორც ეს წარმოებაშია მიღებული, მარილმჟავით დამუშავების დროს. ასეთ გრენში ნაწილობრივ ურჯა

డిగ్‌బోర్డు	కొర్టు నెంబర్	కొర్టు పేరు	కొర్టు వ్యవస్థ	గ్లోబల్ గాథింపు ప్రశ్నలు అనుమతి									
				గ్లోబల్ లాస్యిట్ (లో)					గ్లోబల్ లాస్యిట్ (పట్)				
				24	36	48	60	72	24	36	48	60	72
4°	1,09	28	49,3	61,3	61,0	55,0	50,0	70,0	79,6	74,6	73,3	79,0	
		30	69,0	55,6	55,6	47,6	54,0	67,6	81,3	75,6	75,0	77,3	
		32	56,0	76,3	65,0	50,6	58,3	65,0	78,7	77,3	77,3	76,3	
	1,04	28	52,3	74,4	73,3	61,3	64,0	66,6	79,0	85,0	76,0	74,3	
		30	54,0	75,6	80,6	66,0	60,3	82,6	77,7	82,3	79,6	78,6	
		32	64,6	77,6	77,3	62,3	63,3	77,3	82,3	86,0	81,6	72,3	
	1,05	28	69,0	77,0	65,0	70,0	64,0	68,3	83,3	78,3	76,0	78,3	
		30	68,6	74,3	80,3	65,0	68,3	74,6	81,6	82,3	80,3	80,0	
		32	67,3	81,3	77,3	77,3	72,6	82,0	87,0	87,3	79,0	82,3	
2	1,07	28	61,3	84,6	82,0	74,0	74,0	85,6	90,0	85,0	84,0	87,6	
		30	69,6	86,0	75,6	79,0	79,0	92,6	81,3	88,3	86,0	86,0	
		32	62,6	83,0	79,0	83,0	73,3	88,3	89,0	83,3	86,6	89,3	
	1,07	28	62,6	82,3	81,0	78,3	77,3	65,6	80,3	82,6	83,0	77,3	
		30	65,6	82,6	84,0	81,3	79,3	71,6	83,0	84,6	86,0	86,6	
		32	67,0	85,0	89,3	83,0	86,3	67,6	83,3	84,0	84,0	90,3	
	సాక్షణ్ క్రిందం	60,0	46,6	55,0	32,3	30,0	76,6	80,0	79,6	82,6	75,3		

ვია 2—8 საათით უფრო ნაკლები ხნოვანების ინდივიდები. გრენი მაციურში შეტანამდე ინახება  $24^{\circ}$ — $26^{\circ}$  ტემპერატურის პირობებში, მაციურში ყველა გრენი, შეტანილი იქნა ერთდღოულად. დაზამთრების უნარის 2—4° ტემპერატურის პირობებში გაგრძელდა 30-დან 60 დღემდე, 5 დღის ინტერვალით. გრენი მუშავდებოდა მაცივრიდან გამოტანის შემდეგ არა უგვიანეს 3—4 საათისა, მარილმჟავის ტემპერატურა იყო  $46^{\circ}$ , ხოლო კონცენტრაცია 1,01-დან 1,10 კუთრ წონამდე, ექსპოზიცია კი 4-დან 40 წუთამდე. რალგან ყველა ვარიანტში 20 წუთზე ნაკლები ექსპოზიციით მოქმედებამ გრენის დაბალი გამოცოცხლების უნარიანობა მოგვცა, განსახილველად მოგვყავს მხოლოდ 24 წუთის და ზევით ექსპოზიციის მოქმედებით მიღებული შედეგები (ცხრ. 2).

34 საათის ხნოვანების პიბრიდულ გრენზე (იმერული X კახური) მარილმჟავისა და თერმოაქტივაციის ერთდღოული მოქმედებით დადასტურდა წინა წლის მონაცემები. 1,01 და 1,02 კუთრი წონის მარილმჟავით  $46^{\circ}$  ტემპერატურის პირობებში დამუშავებისას 30-დან 45 დღემდე დაზამთრებული გრენის გამოცოცხლების უნარიანობა 31,6%-ს არ აღემატება. მარილმჟავის კონცენტრაციის 1,02-დან 1,07 კუთრ წონამდე გადიდების შემთხვევაში მატულობს გრენის გამოცოცხლების პროცენტი, კონცენტრაციის შემდგომი გადიდებისას პირიქით, თანდათანობით კლებულობს.

30-დან 45 დღემდე დაზამთრებულ 34 საათის ხნოვანების გრენის და სამუშავებლად უცეთეს დღიზად გამოვლინდა მარილმჟავის კუთრი წონა 1,06, ტემპერატურა  $46^{\circ}$ , ხოლო ექსპოზიცია 28-დან 40 წუთის ჩათვლით. ასეთ პირობებში გამოცოცხლების უნარიანობა 82-დან 90%-მდე აღწევს (ცხრ. 2).

50-დან 60 დღით დაზამთრების შემთხვევაში გრენის გამოცოცხლების მაღალი პროცენტი მიიღება 1,01, 1,02 და უფრო მეტი კუთრი წონის მქონე მარილმჟავით დამუშავების დროს. მარილმჟავას 1,08 კუთრი წონის შემდევ ვლინდება გრენის გამოცოცხლების უნარიანობის შემცირების ტენდენცია.

ანალოგიური შედეგები მივიღეთ კახური X იმერული პიბრიდული გრენის გამოცდის შემთხვევაშიც.

ორი წლის მანძილზე ჩატარებული ცდის შედეგებით დასტურდება, რომ 40 დღის ზევით, რაც უფრო მეტია გრენის დაზამთრების ხანგრძლვობა, მით უფრო მაღალია გამოცოცხლების უნარიანობა.

50 დღეზე მეტი ხნით დაზამთრების შემთხვევაში გრენის გამოცოცხლების უნარიანობა ძლიერ დაბალი კონცენტრაციის მქონე მარილმჟავაში დამუშავების დროსაც კი მაღალია.

ასეთი შედეგები აიხსნება იმით, რომ დაზამთრება ხელს უწყობს გრენში ღიაპაუზის მოხსნას, რის გამოც სრულიად დაუმუშავებელი, 34 საათის ხნოვანების გრენიც კი, რაც უფრო დიდი ხნით არის დაზამთრებულ, მით უფრო მეტი გამოცოცხლების პროცენტს იძლევა.

(გრენის ასაკი 34 სთ, მარილმუვას ტემპერატურა 46°)

		გრენის გამოცოცლების პროცენტი										
		მარილმუავის ხვედრითი წონა										
		1,01	1,02	1,03	1,04	1,05	1,06	1,07	1,08	1,09	1,00	
30	3,0	24	4,6	9,0	7,0	5,0	79,3	80,6	89,6	78,3	14,3	27,3
		28	5,6	4,0	10,3	29,0	70,0	85,0	82,6	74,6	15,3	10,3
		32	3,6	4,0	7,3	23,3	71,0	86,3	80,0	69,0	12,0	3,3
		40	—	1,0	14,0	24,3	75,3	88,3	78,3	7,6	6,6	0,6
35	4,0	24	4,0	4,3	8,3	29,0	69,6	78,3	87,3	84,0	22,3	40,6
		28	4,6	1,3	14,3	33,0	71,6	82,6	86,6	68,0	44,6	27,0
		32	3,6	8,6	12,6	35,0	73,6	84,6	84,6	84,0	64,3	17,6
		40	—	11,6	18,0	26,0	77,0	87,0	69,3	52,3	4,0	2,3
40	9,6	24	13,3	11,6	28,0	16,6	70,3	74,3	84,0	7,0	40,0	22,6
		28	11,6	9,0	29,0	19,3	71,3	82,0	84,5	75,0	24,0	14,0
		32	14,0	14,0	26,3	21,6	77,0	84,6	80,0	75,3	14,0	0,0
		40	—	17,6	28,3	24,3	72,3	89,0	70,0	68,0	40,0	3,0
45	24,0	24	3,0	30,3	73,6	68,0	72,3	91,6	88,0	88,0	57,3	42,0
		28	24,6	29,3	62,0	74,3	80,3	88,0	87,38	82,3	45,3	19,0
		32	27,0	31,6	65,3	76,0	85,6	89,0	85,6	78,0	38,6	12,0
		40	19,3	25,6	62,3	78,3	79,3	90,0	86,3	66,3	32,0	3,0
50	60,0	24	60,0	70,0	71,0	76,6	82,6	89,6	90,0	84,3	36,6	11,6
		28	86,6	73,3	74,3	79,0	80,6	91,6	82,6	82,3	27,3	5,0
		32	88,6	77,6	77,3	80,3	87,3	89,0	84,0	77,3	25,0	4,0
		40	66,6	74,5	74,6	79,6	84,3	86,6	86,0	32,0	15,0	—
55	77,8	24	85,6	72,3	78,3	78,3	83,0	92,6	87,6	60,0	76,0	5,0
		28	89,3	84,6	84,6	86,3	85,3	80,0	91,6	40,0	46,3	5,6
		32	86,6	81,3	84,0	85,3	86,3	82,3	84,3	33,3	30,0	7,6
		40	83,3	76,0	68,6	79,0	89,3	—	—	—	—	—
60	80,6	24	90,0	82,6	83,6	87,3	85,6	74,3	85,6	77,3	56,6	29,6
		28	93,3	83,6	84,6	89,3	69,3	71,3	87,3	45,6	46,6	4,3
		32	92,6	82,3	78,5	85,6	91,3	69,6	84,3	23,3	16,3	2,3
		40	85,0	80,9	78,6	89,3	83,3	—	—	—	—	—

ჩატარებული ცდებით ირკვევა აგრეთვე ის გარემოება, რომ დაზამთ-  
რების ხანგრძლივობა და მარილმჟავას კონცენტრაცია გავლენას ახდენს ჩა-  
ნსახის განვითარების სიჩქარეზე. მაგალითად, რაც უფრო ხანგრძლივია-  
დაზამთრება, მით უფრო შემოკლებულია ინკუბაციის პერიოდი, ან კიდევ  
მარილმჟავას კონცენტრაციის გადიდებით, მცირდება გრენის ინკუბაციის  
პერიოდი.

1,01 — 1,02 კუთრი წონის მარილმჟავით დამუშავებულ 30-35  
დღით დაზამთრებული იმერული X კახური პიბრიდული გრენის ფრენტის  
სანგრძლივობა 15 დღეს უდრის, 45 დღით დაზამთრებული კი 13 — 14 დღეს. ასეთი  
დღეს, ხოლო 55—60 დღით დაზამთრებულისა კი 13 — 14 დღეს. ასეთი  
შედეგები იქნა მიღებული კახური X იმერული პიბრიდული გრენის შემთ  
ხვევაშიც.

გრენის დამუშავებამ იმავე ტემპერატურისა და ექსპოზიციის პირ-  
ვებში მხოლოდ მაღალი კონცენტრაციის მქონე მარილმჟავას მოქმედე-  
ბის დროს (1,03-დან 1,10 კუთრ წონამდე) შეამცირა ინკუბაციის სი-  
გრძლივობა 18-დან 13 დღემდე 30—35 დღით დაზამთრებისას, ხოლო 15-  
დან 12 დღემდე, 50—55 დღით დაზამთრების შემთხვევაში. ექსპოზიციის  
უკიდურესი არავითარი გავლენა არ მოუხდენა გრენში ჩანასახის განვითარების  
სიჩქარეზე.

### დასკვნა

1. ზაფხულში 5-დან 40 დღემდე ხანგრძლივობით დაზამთრებულ  
ახალგაზრდა გრენის დამუშავება უკეთესია ვაწარმოოთ მარილმჟავას და  
თერმოაქტივაციის ერთდროული მოქმედებით.

2. 2—4° ტემპერატურის პირობებში გრენის დაზამთრება უმჯობესია  
34-დან 48 საათის ხნოვანობამდე, რადგან ზაფხულში დაზამთრებულ უფ-  
რო ახალგაზრდა გრენზე მარილმჟავას და თერმოაქტივაციის ერთდროულ  
მოქმედება გამოცოცხლების უნარიანობას აქვეითებს.

3. ზაფხულში 45 დღემდე დაზამთრებულ გრენზე 1,01-დან 1,03-მდე  
ზევედრითი წონისა და 46° ტემპერატურის მქონე მარილმჟავას 28—40  
წუთის ხანგრძლივობით მოქმედებისას, გრენის გამოცოცხლება 31,6%—  
აღწევს. მარილმჟავას ხვედრითი წონის 1,07-მდე გადიდების შესაბამისად  
მატულობს გრენის გამოცოცხლების უნარიანობა, ხოლო კონცენტრაციის  
შემდგომი გადიდებისას კი პირიქით, მცირდება.

4. 36 საათის ხნოვანების ზაფხულში დაზამთრებული გრენის დამუშა-  
ვებისათვის უკეთეს ღოზად შეიძლება ჩაითვალოს მარილმჟავას ხევედრი-  
თი წონა 1,06, ტემპერატურა 46°, ექსპოზიცია 30 წუთი, 48 საათის ხნოვა-  
ნების გრენისათვის შესაბამისად 1,07; 46°, 30 წუთი. ამავე ღოზით შესა-  
ლებელია დამუშავდეს 60—72 საათის ხნოვანების გრენიც.

5. 50 და მეტი ხნით დაზამთრებულ გრენზე 1,01 და 1,02 ხვედრით  
წონის მარილმჟავის მოქმედებითაც მიღება გრენის გამოცოცხლების მა-  
ღალი პროცენტი, რაც იმით აიხსნება, რომ ხანგრძლივი დაზამთრება  
ზელს უწყობს ღიაპაუზის მოხსნას და მარილმჟავაში დამუშავების გარე-  
შეც, ასეთი გრენიდან დიდი რაოდენობით გამოდის ჭია.

6. დაზამთრების ხანგრძლივობა და მარილმჟავას კონცენტრაცია გავტონას ახდენს ჩანასახის განვითარების სიჩქარეზე. რაც უფრო მეტი ხნია დაზამთრებული გრენი, მით უფრო შემცირებულია ინკუბაცის პერიოდი, ან კიდევ მარილმჟავას კონცენტრაციის გადიდებით (1,01-დან 0,8-მდე), მცირდება გრენის ინკუბაციის პერიოდი.

---



შრომის წითელი დროშის ორდენისანი

საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტის შრომის, ტ. 116, 1980

УДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ  
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, Т. 116, 1980

ქ 638 . 22

ნ. სურგულაძე, ლ. ვერულაშვილი,  
ნ. გლიშიაშვილი

თის აგრეშუმებრივის ზოგიერთი ჯიშის პარკის ტერიტორიის და ხამი  
ქაფიც ფიზიკურ-გეოგრაფიული თვისებების უაღევების

თუთის აბრეშუმებრივის ცოცხალი კოლექციის ფონდში თავმოყრილა  
შების სრულყოფილი შესწავლა-დახსიათების შესახებ ცნობები თითქ-  
არ მოიპოვება. ცნობილია მხოლოდ რევოლუციამდელ პერიოდში ნ. ნ.  
ქოვის მიერ ამიერკავკასიის მეზრეშუმეობის საცდელ სადგურებში არ-  
ჟელი ზოგიერთი ადგილობრივი და საზღვარგარეთიდან შემოტანილი ჭი-  
ბის მოქლე აღწერის სისტემაში მოყვანაზე ჩატარებული სამუშაო-  
მ [7].

კოლექციის ფონდის ზოგიერთი ჭიშის შედარებით სრულყოფილი შე-  
სწავლა განახორციელა თ. ვარდოსანიძემ [1]. მის დახსიათებაში მოტანი-  
ს ძირითადად ჩინურ, იაპონურ და ბულგარულ ჭიშებში შემავალი ზო-  
გიერთი ჭიშის მორგოლობიური აღწერილობა და ბიოლოგიურ-ტექნოლო-  
გიური მაჩვენებლები. შრომაში არაა გაშუქებული ამ ჭიშების პარკის და  
მი ძაფის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები.

გასული საუკუნის დასასრულს, თუთის აბრეშუმებრივის სხვადასხვა ჭი-  
ბის პარკის და ხამი ძაფის ფიზიკური თვისებების შესწავლის პირველი ცდა  
მახორციელა პროფ. ვ. პ. ივანოვმა [3].

1938—1940 წწ. შ. ლვინეფაძის და თ. ჯანყარაშვილის მიერ შესწავ-  
ლი იყო ზოგიერთი პიბრიდის პარკის ძაფის სიმაგრე და ელასტიკურო-  
[2].

ბუნებრივი აბრეშუმი იმ სახით, რა სახითაც აბრეშუმის ჭია მას გამო-  
იყს, წარმოადგენს ნატურალურ ბოჭკოს, რომელიც შეღვევა ცილოვანი  
ქმნის ნივთიერების ფიბრინინისა (70—80 %) და მწებავი ნივთიერე-  
ბი სერიცინისაგან (30—20 %). გარდა აღნიშნულისა, აბრეშუმის ბოჭკოს  
უმაღლენლობაში შედის აგრეთვე ე. წ. მლებავი პიგმენტები და მცირე რა-  
ფინობით წყალში უხსნადი ნივთიერებანი.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებათა როგორმა რიცხვი შეფარდება პარკის გარსსა და ძაფში ყოველთვის ფრაქტულმდებული იგი ხშირ შემთხვევაში საგრძნობლად მერყეობს, რაც უძრავია მათ კიდებულია თუთის აბრეშუმხვევის ჭიშხე, კლიმატზე, კვების პირობება და სხვა.

ცნობილია, რომ ახალი თეთრპარკიანი ჭიშები იძლევიან დიდი რაოდენობით ხამი აბრეშუმის ძაფს, მაგრამ ამავე დროს მათ ახასიათებთ სერიუმის შედარებით მოჭარბებული შემცველობა და იგი პარკის გარსში მერყეობს 30—32%-ის ფარგლებში, რაც ერთ-ერთ ხელისშემწყობ მიზად ითვლება ძაფის ხარისხის გაუარესების საქმეში.

ე. რუბინოვი მიუთითებს, რომ პარკის არასაკმარისი ხარშვა იწვევს სერიუმის ნაკლებ გაზირჯვას, რითაც მცირდება პარკის გარსის რღვევით უნარი, იზრდება ჭყვეტიანობა და უარესდება ხამი ძაფის ხარისხი და გამოსავლიანობა [5].

სერიუმის თვისებები ყველაზე სრულყოფილად აქვს შესწავლილი იაპონელ მკვლევარს ინოუეს, რომელმაც დააღვინა, რომ არსებობს გრძელებული დამოკიდებულება სერიუმის ხსნადობასა და ამოხვევით უნარიანობას შორის. მან საბოლოოდ დაამტკიცა, რომ სერიუმის კარგი ხსნადობის მქონე ჭიშების პარკი, ამავე დროს ხასიათდება კარგი ამოხვევით უნარით, რომ მარტო სერიუმის რაოდენობა არ განსაზღვრავს მცი შეწყბულობის თვისებას, არამედ მის ხსნადობას სხვადასხვაგვარი უნარიც აასიათებს, რასაც ჭიშურ ნიშან-თვისებას მიაწერენ [4].

ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურში არსებული ცოცხალი კოლექციის ფონდის ჭიშების შესწავლა ბიოლოგიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლების დადგენაზე წარმოებს ხანგრძლივი წლების მანძილზე. მაგრამ სადღეისოდ წარმოების მოთხოვნათა მკვეთრად გაზრდის პირობებში, თუთის აბრეშუმხვევისა ახალი შემოსავლიანი ჭიშების და ჰიბრიდების გამოყვანისას აუცილებელი ხდება სასელექციო მუშაობში გათვალისწინებული იქნეს არა მარტო პარკის წონის და აბრეშუმიანობის გაზრდის, არამედ იგრეთვე ხამი ძაფის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების საკითხიც, რომლის დადებითად გადაწყვეტა ბევრადაა დამოკიდებული საწყის მასალად ისეთი კომპონენტების შერჩევაზე, რომლებიც რესსხვა დადებით სამეურნეო ნიშან-თვისებებთან ერთად ხასიათდებიან აგრეთვე მწებავი ნივთიერების სერიუმის შედარებით ნაკლები შემცველობით ან ამ უკანასკნელის კარგი ხსნადობის უნარით.

ამ მიზნით, რადგან ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურში არსებული თუთის აბრეშუმხვევის საკოლექციო გამოკვება, სადაც თავმოყრილია 130-მდე დასახელების საზღვარგარეთიდან და მოძერესპუბლიკებიდან შემოტანილი ჭიშები, რომლებიც წარმოადგენს ძირთად ბაზას სასელექციო მუშაობის გაშლისათვის საწყისი მასალის შესახ-

აღ, 1976 წლიდან აქ საფუძველი ჩაეყარა ცოცხალი კოლექტივის ფონზე გიშების აბრეშუმის პარკის გარსებში სერიცინის რაოდენობისა და ლში ხსნადობის უნარიანობის განსაზღვრას და მათ გავლენას. პარკის წოლოგიური და ხამი ძაფის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე [6].

პარკის ტექნოლოგიური და ხამი ძაფის ფიზიკურ-მექანიკური თვისების შესწავლა დავიწყეთ შემდეგ გიშებზე: იაპონური თეთრი 115—6, ჩინური თეთრი 108—109—122, კორეის 018—0119, ბულგარული რი 4, პიბრიდი კორეის—0119 ჭ/პ—4. ამ გიშების შესწავლის შედებილებული მაჩვენებლები მოტანილია პირველ ცხრილში.

როგორც ცხრილში მოტანილი ციფრობრივი მონაცემებიდან ჩანს, შევლილი გიშების პარკის ტექნოლოგიური მაჩვენებლები და ხამი ძაფის ზეურ-მექანიკური თვისებები გიშების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა: იაპონური თეთრი — 115. აბრეშუმიანობა ხმელ პარკში — 6%, ხამი ძაფის გამოსავალი — 35,4%, ამოხვევითი უნარიანობა — 3%, ძაფის მეტრული ნომერი — 3706, სერიცინის შემცველობა პარკის ში — 23,3%, განუწყვეტლად ამოხვეული ძაფის სიგრძე — 666 მ, ხამის გამწყვეტი სიგრძე — 35,7 კმ, ხამი ძაფის დაგრძელება — 13,8%, ძაფის კავშირიანობა 114.

იაპონური თეთრი — 116. აბრეშუმიანობის პროცენტი ხმელში — 42,1%, ხამი ძაფის გამოსავალი — 33,4%, ამოხვევითი უნარიანობა 79,3%. ძაფის მეტრული ნომერი — 3780. სერიცინის შემცველობა — 3%, განუწყვეტლად ამოხვეული ძაფის სიგრძე — 558, ხამი ძაფის გამწყვეტი სიგრძე — 37,7 კმ. ხამი ძაფის დაგრძელება — 15,1%, ხამი ძაფის კარიანობა 142.

ჩინური თეთრი — 108. ხმელი პარკის აბრეშუმიანობა — 39,7% ძაფის გამოსავალი — 30,2%. ამოხვევითი უნარიანობა — 75,9%. სერინი 24,3%. განუწყვეტლად ამოხვეული ძაფის სიგრძე — 534 მ, პარმეტრული ნომერი — 3773. ხამი ძაფის გამწყვეტი სიგრძე — 35,9 კმ, ხამის დაგრძელება — 13,2%. ხამი ძაფის კავშირიანობა 78.

ჩინური თეთრი — 109. ხმელი პარკის აბრეშუმიანობა — 41,0%, ძაფის გამოსავალი — 32,5%. ამოხვევითი უნარიანობა — 79,1%. განუწყვეტლად ამოხვეული ძაფის სიგრძე — 585 მ. პარკის ძაფის მეტრული წერი — 3644, სერიცინი — 23,2. ხამი ძაფის გამწყვეტი სიგრძე — 35,3 კმ. ძაფის დაგრძელება — 14,1%. ხამი ძაფის კავშირიანობა 124.

ჩინური თეთრი 122. აბრეშუმიანობის % ხმელ პარკში — 5%, ხამი ძაფის გამოსავალი — 31,3 %. ამოხვევითი უნარიანობა — 5% პარკის ძაფის მეტრული ნომერი — 3736. სერიცინის % — 24,7. განუწყვეტლად ამოხვეული ძაფის სიგრძე — 585 მ. ხამი ძაფის გამწყვეტი წერი — 37,3 კმ, ხამი ძაფის დაგრძელება — 13,9%. ხამი ძაფის კავშირიანობა 113.

ՌԱԴԻԱՆ ԱՃՐԵՑՄԵՑՎԵՎՈՈՆ ԿՐՈԼԵՎՈՒՈՈՆ ՔՈՇԵՑՈՅ ՎԵՐԿԱՆ ԺԵՎԵՆՈԼՈԳՈՒՐՈ ՀԱ ԽԱՑՈ ԺԱՂՈՆ  
ՇՈՒՇԿԱ-ՑԵՎԱԿՈՎՄԱՆ ԴՎՈՒՑԵՑԵՑՈ (ԽԱՑՈ ԲԼՈՒ ՏԱՄԱԼՈ) ԹԱԿՎԵՆԵՑԼԵՑՈ

# ԱԿՐՅԵՑՅՈ ՑՈՑ-ՊՐՈՊՐԵՑՅՈ

ՀՆՀ	ՀԱՇՎԵՐՈ ՄԱՆՐԱԿԱՐԱ	ՍԵՐՈՎՐՈ, %	ԱՃՐԵՑՄԵՑ- ՈՆՔԱ, %	ԽԱՑ ԺԱՂՈՆ ՎԵ- ՀՈՄՆԵՑ-ՎԵ- ԼՐ, %	ԺՄՆԵՑ- ՆՈՒՐԱ- Ն, %	ՑԵՎ- ԵՎ- ՏԱՐ- ԿՈՅ. Ժ- ՏԵՐ, թ.	ՑԵՎՈ- ՏԱՐԿՈ- Ս, մ- ՐԱԼՈ Ն- ՐԱԾՈ, ք-	ԽԱՑՈ ԺԱՂՈՆ ՏԱՐԿՈՒ- ՏՈ ՏԵ- ՌԱԾՈ, մ-	ԽԱՑՈ ԺԱՂՈՆ ՏԱՐԿՈՒ- ՏՈ ՏԵ- ՌԱԾՈ, մ-	ՑԵՎ- ԵՎ- ՏԱՐ- ԿՈՅ. Ժ- ՏԵՐ, թ.	ՑԵՎ- ԵՎ- ՏԱՐ- ԿՈՅ. Ժ- ՏԵՐ, թ.	
											ՑԵՎ- ԵՎ- ՏԱՐ- ԿՈՅ. Ժ- ՏԵՐ, թ.	ՑԵՎ- ԵՎ- ՏԱՐ- ԿՈՅ. Ժ- ՏԵՐ, թ.
1	ՈՎՈՆԵՐՈ ԵՎԵՐՈ—115	23,3	42,6	35,4	82,8	666	3706	35,7	13,8	114		
2	ՈՎՈՆԵՐՈ ԵՎԵՐՈ—116	3,3	42,1	33,4	79,3	558	3780	37,7	15,1	142		
3	ԲԻՆԵՐՈ ԵՎԵՐՈ—108	24,3	37,9	30,2	75,9	534	3773	35,9	13,2	78		
4	ԲԻՆԵՐՈ ԵՎԵՐՈ—109	23,2	41,0	32,5	79,1	585	3644	35,3	14,1	124		
5	ԲԻՆԵՐՈ ԵՎԵՐՈ—122	24,7	40,5	31,3	77,4	585	3736	37,3	13,9	113		
6	ԿՐՈՐԵԿ—018	25,1	41,7	32,8	78,6	606	3696	35,3	12,0	107		
7	ԿՐՈՐԵԿ—019	24,5	41,5	33,8	83,8	874	3761	34,6	14,3	123		
8	ՑԵՎԵԼՑԱՐՄԱՆ ԵՎԵՐՈ—4	24,7	40,0	32,7	81,4	703	379	37,3	13,0	101		
9	ԿՐՈՐԵԿ 0119 չթ/3—4	26,1	42,2	35,1	83,1	651	3922	36,7	14,5	115		

კორეის — 018. აბრეშუმიანობა ხმელ პარკში — 41,7%, ხამი ძალის გამოსავალი 32,8%, ამოხვევითი უნარიანობა — 78,6%, პარკის მიზანის შეტრული ნომერი — 3695, სერიცინი — 25,1%. განუწყვეტლად ამოხვევითი სიგრძე — 35,3 კმ, ხამი ძაფის გამწყვეტი სიგრძე — 35,3 კმ, ხამი ძაფის დაგრძელება — 12,0%, ხამი ძაფის კავშირიანობა — 107.

კორეის — 0119. აბრეშუმიანობის პროცენტი — ხმელ პარკში — 44,5%, ხამი ძაფის გამოსავალი — 33,8%, ამოხვევითი უნარიანობა — 83,8%, პარკის ძაფის მეტრული ნომერი — 3761, სერიცინი — 24,5%, განუწყვეტლად ამოხვევითი ძაფის სიგრძე — 874, ხამი ძაფის გამწყვეტი სიგრძე — 34,6 კმ, ხამი ძაფის დაგრძელება — 14,3%, ხამი ძაფის კავშირიანობა — 123.

ბულგარული თეთრი — 4. აბრეშუმიანობა ხმელ პარკში — 40,5% ხამი ძაფის გამოსავალი — 32,9%. ამოხვევითი უნარიანობა — 81,4%. პარკის ძაფის მეტრული ნომერი — 3799, სერიცინი — 24,7%. განუწყვეტლად ამოხვევითი ძაფის სიგრძე — 703 მ, ხამი ძაფის გამწყვეტი სიგრძე — 37,3 კმ, ხამი ძაფის დაგრძელება — 13,0%, ხამი ძაფის კავშირიანობა — 101.

კორეის — 1119 X თ/3 — 4. ხმელი პარკის აბრეშუმიანობა — 42,2 ძაფის გამოსავალი — 35,1%, ამოხვევითი უნარიანობა — 83,1%, პარკის ძაფის მეტრული ნომერი — 3922, სერიცინი — 26, 1 %. განუწყვეტლად ამოხვევითი ძაფის სიგრძე — 651 მ, ხამი ძაფის გამწყვეტი სიგრძე — 36,7 კმ, ხამი ძაფის დაგრძელება — 14,5%, ხამი ძაფის კავშირიანობა — 115.

შესწავლილი ჯიშებიდან შედარებით უკეთესი ტექნოლოგიური მაჩვენებლებით გამოიჩინებიან (ცხრ. 1): ჩინური თეთრი — 115, კორეის — 018, ურეის — 0119, ჩინური თეთრი — 108, ბულგარული თეთრი — 4 და ჰიბრიდული კორეის — 0119 X თ/3—4. მათვების დამახასიათებელია მაღალი ამოხვევითი უნარიანობა (81—82%), ძაფის მეტრული ნომერი (3500—3700) და ხა.

ხამი ძაფის ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით ყველა შესწავლილი შეიძლება და ჰიბრიდი არსებული სტანდარტით დადგენლ ნორმატივებში მერყეობს (გარდა ხამი ძაფის დაგრძელების პროცენტისა).

### დასკვნა

1. თუთის აბრეშუმებევის ცოცხალი კოლექციის ფონდის ზოგიერთი შეის შესწავლის შედეგად, აბრეშუმის პარკის შედარებით უკეთესი ტექნოლოგიური მაჩვენებლები აღმოაჩნდათ შემდეგ ჯიშებს: ჩინური თეთრი — 115, კორეის — 018, ურეის — 0119, ჩინური თეთრი — 108, ბულგარული თეთრი — 4, ჰიბრიდი კორეის — 0119 X თ/3-4; მათვების შახასიათებელია მაღალი (80—83%) ამოხვევითი უნარიანობა, ძაფის მეტრული ნომერი (3600—3900) და სხვ.

2. Заряжане да ხამი ძაფის ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით ყველა შესწავლილი (რვა) ჯიში და ჰიბრიდი არსებული სტანდარტის (239—24%) დადგენილ ნორმატივებში მერყეობდენ (გარდა ხამი ძაფის დაფილების პროცენტისა, რომელთაც ისინი სტანდარტს (17%) 2—3%-ით ჩამორჩებიან);

3. საბოლოოდ ირკვევა, რომ თუთის აბრეშუმხვევიას ჯიშების, როგორც ტექნოლოგიური, ისე ხამი ძაფის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები მჭიდრო კავშირშია პარკის გარსში მწებავი ნივთიერება-სერიცინის პროცენტულ შემცველობასთან და რამდენად დაბალია ეს უკანასკნელი, შესაბამისად გაუმჯობესებულია აღნიშნული თვისებები;

4. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე 1976—1978 წწ. შესწავლილი ჯიშებიდან, მათ სასელექციო დანიშნულებით გამოყენებაზე დადებითი რეკომენდაცია შეიძლება მიეცეს შემდეგ ჯიშებს: იაპონური თეთრი 115—116, კორეის 018—0119, ბულგარული თეთრი—4, ჩინური თეთრი—108.

### ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა — Л и т е р а т у р а

1. Вардосанидзе Т. О. — Результаты изучения пород тутового шелкопряда из коллекции Кутаисской зональной опытной станции шелководства. Труды Тбилисского научно-исследовательского института шелководства. Тбилиси, 1955.
2. Гвинепадзе Ш. К., Нижарадзе М. И., Джанкарапшили Т. А. — Испытание гибридов с наименее крепким и эластичным шелком. Отчеты за 1938—1940 гг. (рукописи). ТбилисиИШ.
3. Иванов В. П. — Физические свойства коконов и шелка различных пород тутового шелкопряда. Тифлис, 1911.
4. Иноуз — Ученые о Японской запарке коконов. Перевод Э. Рубинова, Ташкент, 1957.
5. Рубинов Э. Б., Усенко В. А., Ибрагимов С. С. — Ученые о шелке и кокономотании. Часть I, М., 1966.
6. Смирнов Н. С. — Справочник по шелксырю, кокономотанию и шелкокручению. М., 1950.
7. Шавров Н. Н. — Каталог коллекции музея Кавказской шелководственной станции за 1906 г. Тифлис, 1906.

შრომის ჯითებული ღრმულის ორგანიზაციის

საქართველოს სასოფლო-სამუშაოო ინსტიტუტის ჟრომები ტ. 116, 1980

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ  
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, Т. 116, 1980

УДК 638.272,5

ი. ღოლიავ, ჯ. ნანაძე,  
ლ. კაათაშვილი, გ. ხოჩალია

აგრეგატის პარკის სიცივით კონსალტინგის სამუშაოთ გამოცემის საგლობო  
შედეგები

სამრეწველო დანიშნულების პარკის პირველადი დამუშავების ტექ-  
ნოლოგიური პროცესი ბოლო პერიოდში სავრძნობლად გაუმჯობესდა. მაგ-  
რამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია და ამ მიმართულებით გასა-  
კონკურენციული ბევრი დარჩა.

პარკის პირველადი დამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესების საკი-  
ონკურენციური მომუშავეთა შორის დიდი ხანია ჩატვირტები სპეციალისტები საქა-  
რთველოდანაც.

სპეციალისტთა კვლევა-ძიება პარკის პირველადი დამუშავების ტექ-  
ნოლოგიის სრულყოფაში სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა: ქიმიური  
რეაქტივებით (პროფ. ცემიანაური, პროფ. ივანოვი); დაბალი წნევისა და  
ტემპერატურის არეში (პროფ. ვაწაძე, დოც. ლ. გელევანიშვილი, დოც.  
ი. დოლიძე, ა. ბაქრაძე); რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებით (ცეცხ-  
ლაძე, ჩიქოვანი, ი. ართმელაძე და სხვა); მაღალი სიხშირის ელდენის გა-  
მოყენებით (კ. დიდებულიძე, ი. კახაძე, ვ. ლობეანიძე, ბ. გადაბაძე). და-  
ახლოებით ასეთივე მიმართულებით წარიმართა პარკის პირველადი დამუ-  
შავების ტექნოლოგიის გაუმჯობესების საკითხებზე მუშაობა საბჭოთა კავ-  
შირის სხვა რესპუბლიკებში, აგრეთვე უცხოეთშიც.

რასაკვირველია, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში გამოცდილი  
ყო სხვა მეთოდებიც მაგ., ინფრაჭითელი სხივებიც (ბუნქელი, ფრესი,  
არამოვი), უფანგბადო არე და ჰელიო სახმობი (რუბინოვი და სხვა).

მოუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებით ჩატარე-  
ბულ ექსპერიმენტულ მუშაობას გარკვეული დადებითი შედეგები მო-  
ჟყვა, მათი დანერგვა წარმოებაში სხვადასხვა მიზეზების გამო მაინც ვერ  
მოხერხდა და ჩატარებული ცდების შედეგები ლაბორატორიას ვერ  
გაცდა. ამიტომ მუშაობა პარკის პირველადი დამუშავების ტექნოლოგიის



გაუმჯობესების საკითხებზე ბუნებრივია გაგრძელდა. იგი ჟარტოვლით ქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კვლევითი მუშაობა, პარკის პირველადი დამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესების ხაზით, ფაქტიურად გაგრძელდა სიცივის გამოყენებით (პროფ. შ. ცემოშვილი, სპ. ჩომახიძე, ი. დოლიძე, ა. ბაქრაძე და სხვა). პირველ ხანებში სიცივე გამოყენებული იქნა პარკის გასაყინავად, ე. ი. მაცივარში მინუს 17—25°C პირობებში მოთავსებული პარკი იყინებოდა და გაყინულ მდგრადი მარეობაში ინახებოდა მაცივარში. როგორც ცდებმა გვიჩვენა, გაყინული პარკი მთლიანად ინარჩუნებს პირვანდელ ტექნოლოგიურ თვისებებს, ე. ი. პარკის გაყინვა სხვა მეთოდებთან შედარებით (რომლების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი) უფრო პროგრესული აღმოჩნდა, მაგრამ ამ მეთოდის გამოყენება წარმოებაში მაინც ვერ მოხერხდა. საქმე იმაშია, რომ გაყინვისას ჭუპრში არსებულმა წყალმა ყინულის კრისტალებად გადაჭცევისას მოცულობაში მომატების გამო დააზიანა-დახსლიჩა ჭუპრის ორგანიზმი ასებული უჯრედები. პარკსახვევ წარმოებაში ასეთი პარკის გადამუშავებისას (მოხარუშვა, დაფერთხვა და სხვა) ჭუპრში არსებული ყინულის კრისტალები გაღნობის შედეგად შავ სითხედ იქცა და დასვარა პარკი და გამოწვია ტექნოლოგიური წყლის გაჭუჭყიანება, აგრეთვე აბრეშუმის ხამი ძაფის დასვრა. ყოველივე ამისა და სხვათა გამო (პარკის დაყალიბება-დარღისხებაში) პარკის გაყინვის მეთოდი წარმოებისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ამ ცდამ დაგვარწმუნა იმაში, რომ სიცივე აბრეშუმის ცილის (სერიუნი, ფიბროინი) არ აზიანებს. ამიტომ პარკის პირველად დამუშავებაში სიცივის გამოყენებაზე მუშაობა ჩვენთან საქართველოში მაინც გაგრძელდა. გაგრძელდა იგი არა გაყინვის, არამედ სიცივით პარკის კონსერვაცის პროცესში მუშაობით.

სიცივით პარკის კონსერვაციასთან დაკავშირებული ცდები მიმღინარეობდა 1935—1957 წლებში ფოთის, სამტრედიის (ქალაქის), დიდებისა და ნავთლულის მაცივრებში, ხოლო პარკის ამოხვევა თბილისის აბრეშუმტექნოლოგიის საწარმოო ლაბორატორიაში და სამტრედიის პარკსახვევაბრივიაში.

სიცივით ცოცხალი პარკის კონსერვაციის ტექნოლოგიური პროცესი ეყრდნობა ცოცხალი ჭუპრის გადაყვანას გარინდულ და მძინარე მდგრმარეობაში, რომელთა შედეგად ჭუპრში ძლიერ ნელდება სასიცოცხლო პროცესი, რის შედეგად ჭუპრი სუსტიდება და ეკარგება უნარი გადაიტცეს ქაბლად, იგი კვდება პარკში. რის შემდეგ იწყება მაცივარში ჭუპრისა და საერთოდ პარკის ინტენსიური შრობის პროცესი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე სიცივით ცოცხალი პარკის კონსერვაციისათვის პროცესი იყოფა ორ ეტაპად: პირველი ეტაპის ღროს წარმო-

ებს პარკის გაგრილება და სიცივის ზეგავლენით ცოცხალი ჭუპრის გაფა-  
ყვანა გარინდულ და მძინარე მდგომარეობაში. პირველი ეტაპის დროს ჰა-  
ერის ტემპერატურა მაცივრის კამერაში უნდა იყოს  $0+4^{\circ}\text{C}$ , ხოლო ჰაერის  
ტენიანობა კი 80—95%.

კონსერვაციის მეორე ეტაპის დასაწყისში მაცივრის კამერაში უნდა  
რამყარდეს ჰაერის ტემპერატურა  $12-15^{\circ}\text{C}$  და ჰაერის ტენიანობა  $60-65\%$ . ამავე დროს კამერაში ჰაერის მოძრაობა უნდა გაძლიერდეს, რაც ხელს  
უწყობს პარკის გაშრობას. მაცივარ საწყობში ახალი თეთრპარკიანი ჰიბ-  
რიდები (ი X კ და თბ X ივ) კონსერვაციის პერიოდში (8 თვის განმავლო-  
ბაში) ცოცხალი პარკი იკლებს მასაში 63—64 %, ე. ი. ნედლიდან ხმელი  
პარკის გამოსავალი უდრის 37—38 %.

სიცივით პარკის კონსერვაცია დამუშავებულია გამოგონების დონეზე  
(საავტორო მოწმობა № 217129) და რეკომენდებულია წარმოებაში დასა-  
ნერგად:

1) ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის აკადემიის მებრეშუმე-  
ობის სექციის საკავშირო-სამეურნეო თაობირის მიერ (12—23 თებერვალი  
1957 წ. მოსკოვი),

2). მსუბუქი მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების  
(HTO) საკავშირო კონფერენციის მიერ (5/X—1958 წ. მოსკოვი).

3) საქართველოს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის  
კომიტეტის მიერ (5—მაისი, 1960 წ. თბილისი) და სხვ.

ყოველივე ამის შემდეგ, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს  
სათანადო განკარგულებით (11/XI—1960 წ. № 1655), 1970 წ. აშენდა სა-  
მტრედიის პარკსახვევ ფაბრიკასთან სპეციალური მაცივარი სიცივით პარ-  
კის კონსერვაციის საწარმოო მასშტაბით გამოცდისათვის.

1970 წლიდან მოყოლებული (არა სისტემატურად), ტარდებოდა სა-  
მტრედიის პარკსახვევ ფაბრიკის მაცივარში პარკის კონსერვაციის მეთოდის  
საწარმოო გამოცდა, მაგრამ იმის გამო, რომ პარკის პირველადი დამუშა-  
ვება ასეთი მეთოდით კავშირში და საერთოდ პირველად ტარდებოდა, ზო-  
გიერთი მუშაკი მას სკეპტიკურად, ეჭვის თვალით შეხვდა, ამიტომ კონსე-  
რვაციაქმნილი პარკის ვარგისიანობას სამტრედიის პარკსახვევი ფაბრიკა,  
რომ ამოწმებდა, კონსერვაციაქმნილი პარკი და მისგან მიღებული ხამი ძა-  
ფი პარალელურად გამოსაცდელად სხვაგანაც, რესპუბლიკის გარეთაც იგ-  
ზავნებოდა. ამრიგად, სიცივით კონსერვაციაქმნილი პარკი სხვადასხვა  
დროს შესამოწმებლად სამტრედიიდან გაეგზავნა წულუკიძისა და მახარა-  
ძის პარკსახვევ ფაბრიკებს. ამ ფაბრიკებიდან დადებითი, — შეღეგების მიღე-  
ბის შემდეგ კონსერვაციაქმნილი პარკი დამატებით შესამოწმებლად გადა-  
ეგზავნა აბრეშუმტექნოლოგიის საკავშირო-სამეცნიერო კვლევით ინსტი-  
ტუტს უზბეკეთის სს რესპუბლიკაში (ქ. მარგილანი). აგრეთვე ამ ინსტიტუ-

კონსერვაციაქმნილი და მექანიზმობში გამომხმარი პარკის გამოცდის შედეგები სხვადასხვა  
ფაბრიკებია და კვლევით დაწესებულებებში

	გამოცდის ჩამტარებელი ფაბრიკა და ინსტიტუტი	პარკის ხელისმთხილი ხარჯი, ლობა		ნაყოფიერება		ხ/ძ გადახვევითი უნარი— ლობა		პარკის დაზღუდვების უნარი, %
		გბსოლუ- ტიუნი	%	გბსოლუ- ტიუნი	%	გბსოლუ- ტიუნი	%	
1	სამტრედის პარკეაზევი ფაბრიკა							
ა)	მექანიზმის პარკე	3,178	100,0	147 გ	100	172 წყვ	100	
ბ)	კონსერვაციაქმნილ პარკე	2,874	90,37	152 გ	103,4	126 წყვ	73	
2	წულუკინის პ/ს ფაბრიკა							
ა)	მექანიზმის პარკე	3,148	100,0	147,2	100,0	113	100	
ბ)	კონსერვაციაქმნილ პარკე	2,870	91,0	148,2	100,7	56	50	
3	შახარაძის პ/ს ფაბრიკა							
ა)	მექანიზმის პარკე	3,150	100,0	132	100,0	278	100,0	
ბ)	კონსერვაციაქმნილ პარკე	2,840	90,1	138	104,0	248	82,0	
4	კირეანის აბრ. კომბინატი							
ა)	მექანიზმის ხამ ძაფზე	—	—	25,3	100	52	100,0	
ბ)	კონსერვაციაქმნილ ხ/ძ.	—	—	27,3	109,9	32	61,5	
5	კავშირის მოთავე კ/ინსტიტ.							
ა)	მექანიზმის პარკე	2,840	100					73,6 — 100,0 %
ბ)	კონსერვაციაქმნილ პარკე	2,560	90,0					77,2 — 104,8 %
6	მოთავე ინსტიტუტის ტაუენტის ფილიალში:							
ა)	მექანიზმის პარკე	3,120	100,0					74,6 — 100,0 %
ბ)	კონსერვაციაქმნილ პარკე	2,750	88,7					78,4 — 105 %



ტის ტაშკენტის ფილიალს, ხოლო კონსერვაციაქმნილი პარკიდან მიღებული ხამი ძაფი, მისი ხარისხს შესამოწმებლად გაეგზავნა ქ. კარკაშავაშბი რეშუმის კომბინატის.

რასაკვირველია ყოველივე ამან მეტი დრო მოითხოვა და გააჭიანურა საწარმოო გამოცდა და წარმოებაში მისი დანერგვის საკითხი, მაგრამ სხვა-დასხვა ადამიანების მიერ ჩატარებულმა გამოცდამ და მათმა შედეგებმა ცხადყო სიცივით კონსერვაციაქმნილი პარკის მაღალი ტექნოლოგიური თვისებები, მექანიკურ პარკსახმობში გამომხმარ პარკთან შედარებით. აქ საგულისხმო ისც არის. რომ თითქმის ყველგან გამოცდის შედეგები ერთი და იმავე კანონზომიერებით ხასიათდება (ცხრ. 1).

პირველი ცხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მთავარი ყურადღებაა მიქცეული გამოცდის დროს იმ ტექნოლოგიურ მაჩვენებლებზე, რომლებიც ძირითადად დამოკიდებულია პარკის პირველადი დამუშავების ტექნოლოგიაზე. პირველ რიგში ასეთებია პარკის ხედრითი ხარჯი. ამ მაჩვენებლის მიხედვით ყველგან თითქმის ერთნაირი შედეგია მიღებული. კონსერვაცია-ქმნილი პარკის გადამუშავება საშუალოდ იძლევა 10%-მდე პარკის ეკო-ნომიას. კონსერვაციაქმნილი პარკის გადამუშავების დროს მეტია შრომის ნაყოფერება, საშუალოდ 4,2%-ით.

ხამი ძაფის ხარისხი განისაზღვრება რამდენიმე მაჩვენებლით, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია ძაფის გადახვევითი უნარი, ამ ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვითაც კონსერვაციაქმნილი პარკი იძლევა 33,4%-ით უკეთეს შედეგს, მექანიკურ პარკსახმობში გამომხმარ პარკთან შედარებით. პარკსახვევი წარმოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს პარკის დარღვევითი უნარი და ამ მაჩვენებელზე დამატებითი გამოცდა ჩატარა აბრეშუმრეწველობის მოთავე კვლევითა ინსტიტუტმა და ტაშკენტის მისმა ფილიალმა. ამ მაჩვენებლებითაც კონსერვაციაქმნილი პარკია 5%-ით უკეთესი გამოდგა.

ზემოხსენებული მასალებისა და სამტრედის ფაბრიკაში წინა წლებში ჩატარებული საწარმოო გამოცდის მასალების მიხედვით, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ, 1976 წელს გამოცემული იქნა ბრძანება (№ 511) აბრეშუმის პარკის სიცივით კონსერვაციის მეთოდის წარმოებაში საბოლოო გამოცდის შესახებ 100 ცენტნერი პარკის რაოდენობით. ვინაიდან მაცივარში შესატანი პარკის დამზადება ფაბრიკას მოუხდა დაგვიანებით, ამიტომ გამოცდის საჭიროებისათვის მოხერხდა დამზადებინათ მხოლოდ 70 ც-მდე პარკი, რომლის ნახევარი (3480,5 კგ) შეტანილი იქნა მაცივარში, ხოლო მეორე ნახევარი (3480,5 კგ), როგორც საკონტროლო, გამომხმარი იქნა არსებული მეთოდით მექანიკურ პარკსახმობში.

მაცივარში შეტანილი პარკის პირველი პარტია ამოხვეული იყო თავისი საკონტროლოთი 1976 წლის 10 დეკემბერს, ანუ მაცივარში პარკის შეტანიდან მეექვსე თვეს. დეკემბერში პარკის ამოხვევის მიზანი იყო პარ-

კის ხვედრით ხარჯიანობასთან დაკავშირებული საჭითხების დაზუსტება. ამოხვევის შედეგად საკონტროლო ვარიანტში მიღებული იყო პარკის ხელის დროით ხარჯი 3,10, ხოლო საცდელში 2,80. ამრიგად კონსერვაციაში პარკი მაცივარში 6 თვის შემდეგ ამოხვევისას იძლევა პარკის საგრძნობ (9,68%) ეკონომიას.

.. ძირითადი მასა კონსერვაციაქმნილი პარკისა ამოხვეული იქნა 1977 წელს ივნისში, ე. ი. ერთი წლის შემდეგ მაცივარში მისი შეტანილან. ამოხვევის შედეგად კიდევ ერთხელ გამოირჩვა ძირითადი ტექნოლოგიური მაჩვენებლები საცდელი და საკონტროლო პარკის პარტიებზე. ამოხვევის შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში.

### ცხრილი 2

1977 წლის ივნისში პარკის ამოხვევის მაჩვენებლები

№	მაჩვენებლების დახასიათება	საკონტროლო ვარიანტი	საცდელი ვარიანტი	ს ხ ვ ი რ ბ ი ა	
				აბსოლუტური	შეფ. %
1	პარკის ხვედრითი ხარჯი	3,21	2,80	0,41	12,3
2	ნათურის %	6,5	4,9	1,6	24,3
3	შუპრის პერანგი (ბაზა) %	4,	2,3	2,6	53
4	შრომის ნაყოფიერება, გ.	148	156	8	5,4
5	ძაფის გადახვევითი უბარი	II ხარისხი	I ხარისხი	1 ხარისხი	9
6	თავმონახული პარკის რაოდენობა, %	55	60	5	

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, ყველა ძირითადი ტექნოლოგიური მაჩვენებლებით კონსერვაციაქმნილი პარკი უკეთესია მექანიკურ სახმობში გამომხმარ პარკთან შედარებით. აქ საგულისხმო ის არის, რომ კონსერვაციაქმნილი პარკის ხვედრითი ხარჯი მაცივარში 12 თვის შენახვის შემდეგ ისეთივეა, როგორც იყო 6 თვის შენახვის დროს (2,80). მაშინადამე, მაცივარ-საწყობში 12 თვის შენახვის შემდეგაც პარკის ხვედრითი ხარჯი უკეთესია 12,80% (ცხრ. 2), ამრიგად, 1 კგ აბრეშუმის ხამი ძაფის მისაღებად საჭიროა მექანიზმით გამომხმარი პარკი 3,210 კგ, ხოლო კონსერვაციაქმნილი პარკი კი 2,800 კგ, ე. ი. 1 ტ ხამი ძაფის მისაღებად საჭირო იქნება 410 კგ-ით ნაკლები სიცივით კონსერვაციაქმნილი პარკი, შედარებით მექანიზმით გამომხმარ პარკთან. პარკის ხარჯების ასეთი ეკონომია კონსერვაციაქმნილ პარკზე მიღებულია ძირითადად აბრეშუმის ნარჩენების—ნათაურისა და შუპრის პერანგის შემცირების ხარჯზე (ცხრ. 2).

კონსერვაციაქმნილი პარკი მოიხარშა 20%-ით ნაკლებ დროში, კიდევ მექანიზმით გამომხმარი პარკი და ამავე დროს, რაც უდავოდ საგულისხმოა, იგი იძლევა 9%-ით მეტ თავმონახულ პარკს; პარკის გარსის ასეთი მაღალი თვისება გამოწვეულია იმით, რომ სიცივით პარკის კონსერვაცია არ იწვევს სერიუინის ბუნებრივი თვისებების შეცვლას, მის მოდიფიცირებას, რაც ჩანს ჩატარებული ცდების მრავალი მასალიდან და პარკის დარღ-

უკეთეს კარგი უნარიანობიდანაც, რომელიც კონსერვაციაქმნილ პარკს მუ-  
დამ ახასიათებს და რომელიც ამ შემთხვევაში 5%-ით უკეთესი საკუთხე-  
ხოლოზე (ცხრ. 1).

მოქმედი სტანდარტის მიხედვით, კონსერვაციაქმნილი პარკიდან მი-  
ღებული ხამი ძაფი მიეკუთვნა პირველ ხარისხს, ხოლო მექასახმობში გამო-  
მხმარ პარკიდან მიღებული ხამი ძაფი კი მეორე ხარისხს.

ჩატარებულმა ცდებმა და საჭარმოო პირობებში მრავალჯერ გამოც-  
დამ ჩათლად დაადასტურა, რომ კონსერვაციაქმნილი პარკი, გადამუშავე-  
ბისას უკეთეს შედეგს იძლევა, მაგრამ პარკის სიცივით კონსერვაციის მე-  
თოდის ყოველმხრივი შეფასებისათვის საჭირო იყო მიღებული ხამი ძა-  
ფის შემდგომი გადამუშავება: გრეხა, ქსოვა, ქსოვილის გამოხარშვა, შე-  
ლებვა და სხვა, ამიტომ 1977 წელს გამოცდის გეგმაში შეტანილი იქნა ამ  
მიმართულებით სათანადო მუშაობის ჩატარება, რომელიც დაევალა საქა-  
რთველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს.  
ხამი ძაფის გამოცდის ობიექტად შერჩეული იქნა შედარებით რთული ქსო-  
ვილი „კრეპი“-ის ჯგუფიდან. საცდელი და საკონტროლო ხამი ძაფი დაი-  
ქრიხა სამტრედიის ძაფსაგრეხ ფაბრიკაში. 4 წვერა კრეპად, ხოლო ქსოვი-  
